თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, შპს „გორდა“ ს/კ 406153763 დირექტორი ვახტანგ ხოჭოლავა პ/ნ 01029000588, თანახმა ვარ, ჩემს საკუთრებაში არსებულ ფართში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი ქინძმარაულის #3-ის მიმდებარედ - ს/კ #01.19.33.002.043, 2 კვ.მ-ზე ს.ს. „თიბისი ბანკმა“ განათავსოს ბანკომატი.

შპს „გორდას“ სახელით

ს/კ 406153763

დირექტორი:

ვახტანგ ხოჭოლავა პ/ნ 01029000588

ვახტანგ ხოჭოლავა

18.04.2018ნ

ორი ათას თვრამეტი წლის თვრამეტ აპრილს მე, საქართველოს ნოტარიუსს მეგი მაღალდაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. N19, მომმართა: **ბ-ნმა ვახტანგ ხოჭოლავამ**, რომელმაც წარმოადგინა **თანხმობა** [18.04.2018წ.] და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **ბ-ნმა ვახტანგ ხოჭოლავამ** [დაბ: 21.02.1961წ. რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. N18 კორ. 1 ბ. 9; პ/ნ 01029000588. ბარათის ნომერი 13II29518. მოქმედების ვადა: 27.02.2025წ.] მომმართა.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მან განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია **თანხმობის** [18.04.2018წ.] შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი, რომ იგი სრულად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი **თანხმობაზე** [18.04.2018წ.], რომელიც თან ერთვის სანოტარო ფორმულარს.

ნოტარიუსმა მას განუმარტა, რომ იგი ამოწმებს მხოლოდ **თანხმობაზე** [18.04.2018წ.] მისი ხელმოწერის ნამდვილობას და არა **თანხმობაში** [18.04.2018წ.] მოყვანილი ფაქტის სიზუსტეს და ნამდვიდობას.

მე მას აგრეთვე განუმარტე, რომ ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადექვატურად ასახვის გამო და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე.

გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების [29.12.2011 წ.] 31-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 0.36ლარი, ჯამში: 4.36ლარი.

საქართველოს ნოტარიუსი
მეგი მაღალდაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180418571
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	18.04.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მეგი მაღალდაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქუჩა N19
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2967042
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	01589512308218

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



სს **ნიკორა ტრეიდი**
საქართველო, თბილისი 0180, მ, ქავთარაძის ქ. №11;
ტელ.: (+995 32) 2 695636; ფაქსი: (+995 32) 2 690124;
ელ.ფოსტა: info@nikoratrade.ge

JSC **NIKORA TRADE**
11, M, Kavtaradze st, Tbilisi 0180, Georgia
Tel: (+995 32) 2 695636; Fax: (+995 32) 2 690124;
E-mail: info@nikoratrade.ge

№ 01/18-495

10 04 2018 წ

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, სს ,,ნიკორა ტრეიდის“ (ს/კ 206255808) აღმასრულებელი დირექტორი დავით ურუშაძე თანახმა ვარ, სს ,,ნიკორა ტრეიდის“ მფლობელობაში არსებული (იჯარით აღებული) ფართში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი ქინძმარაულის #3-ის მიმდებარედ - ს/კ #01.19.33.002.043, 2 კვ.მ-ზე ს.ს. „თიბისი ბანკმა “ განათავსოს ბანკომატი.

სს ,,ნიკორა ტრეიდი“ სახელით

ს/კ 206255808

აღმასრულებელი დირექტორი

დავით ურუშაძე ----------

სს "ნიკორა ტრეიდი" * საქართველო * GEORGIA. "NIKORA TRADE" JSC 206255808

ქვექირავნობის ხელშეკრულება

ხელშეკრულების თარიღი: 2018 წლის 25 მაისი

მხარეები: დამქირავებელი ან/და ბანკი ს.ს. ,,თიბისი ბანკი'' ს/კ 204854595 მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის N7 წარმომადგენელი: ლოგისტიკის განყოფილების ბანკომატების მენეჯერი, ლევან ილურიძე, პ/ნ 01013007067
გამქირავებელი ს.ს. ,,ნიკორა ტრეიდი'' ს/კ 206255808 წარმომადგენელი: მინდობილი პირი ნათია მუმლაძე პ/ნ 60001056168 (რეგ საქმე #892018015287) ანგარიშის ნომერი - **GE03TB1123936020100003**
ქირავნობის საგანი: ქვექირავნობის საგანია 2 (ორი) კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, მდებარე: ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. #3; ს/კ 01.19.33.002.043
ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი: წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შედის 2018 წლის 25 მაისიდან. ხელშეკრულების დასრულების თარიღი: 2020 წლის 25 მაისის ჩათვლით.

საქართველოს კანონმდებლობისა და საკუთარი ნამდვილი ნების შესაბამისად მხარეები ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 გამქირავებელმა ქვექირავნობით გადასცა, ხოლო დამქირავებელმა ბანკომატის დამონტაჟების მიზნით იქირავა გამქირავებლის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება (შემდგომში ,,ქვექირავნობის საგანი'').

2. ქვექირავნობის საგნით სარგებლობის ვადის ცვლილება

2.1 იმ შემთხვევაში, თუ ქვექირავნობის საგნით სარგებლობის ვადის გასვლამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე არც ერთი მხარე მეორე მხარის წინაშე წერილობით არ გამოთქვამს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის შეწყვეტის სურვილს, მაშინ ხელშეკრულება ჩაითვლება გაგრძელებულად იგივე ვადით. იგივე წესი იმოქმედებს ქირავნობის საგნით სარგებლობის ვადის ყოველი შემდგომი გაგრძელებისას.

2.2 დამქირავებელს ნებისმიერ დროს შეუძლია ცალმხრივად შეამციროს ქვექირავნობის საგნით სარგებლობის ვადა, ან შეწყვიტოს ქვექირავნობის საგნით სარგებლობა და ქირის გადახდა 60 (სამოცი) დღით ადრე გამქირავებლისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით. ამ შემთხვევაში დამქირავებელი აღადგენს ქვექირავნობის საგნის დაქირავებამდელ მდგომარეობას.

2.3 გამქირავებელს უფლება აქვს მოსთხოვოს დამქირავებელს ქვექირავნობის საგნით სარგებლობის შეწყვეტა 30 (სამოცი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით.

2.4 გამქირავებლის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთობა დარეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტით.

გამქირავებელი

დამქირავებელი

3. ქირის ოდენობა და გადახდის წესი

3.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ყოველთვიური ქირა განისაზღვრება 140 (ასორმოცი) ა.შ.შ. დოლარის ოდენობით, გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული კურსის მიხედვით. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადების ჩათვლით. გადახდა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.2 ქირის ათვლა დაიწყება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან და გადახდილი იქნება არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვისა, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, უნაღდო ანგარიშწირებით, გამქირავებლის საბანკო ანგარიშზე თანხების ჩარიცხვის გზით.

4. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

4.1 გამქირავებელი ვალდებულია:

4.1.1 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს დამქირავებელს ქვექირავნობის საგანი ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნული პირობა სავალდებულო არაა, თუ დამქირავებელი უკვე ფლობს ქვექირავნობის საგანს.

4.1.2 გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

4.1.3 ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში გადაიხადოს ქვექირავნობის საგანთან და ქირასთან დაკავშირებული ყველა სახის გადასახადი მათ შორის ელ.ენერგიის გადასახადი. დამქირავებლის მიერ ამ ხელშეკრულების 4.3.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში, ყველა საჭირო საშუალებით (მათ შორის შესაბამისი საბუთების ხელმოწერით) დაეხმაროს დამქირავებელს შესაბამისი ნებართვ(ებ)ის მიღებაში;

4.1.4 არ ჩაერიოს დამქირავებლის საქმიანობაში, ხელი შეუწყოს დამქირავებელს ქირავნობის საგნის შეუფერხებელ/შეუზღუდავ გამოყენებაში და უზრუნველყოს ბანკის ტექნიკური ჯგუფის/საინკასაციო სამსახურის შეუფერხებელი დაშვება ბანკომატთან ინკასაციის განსახორციელებლად. ამ მიზნით სავალდებულოა ნებისმიერი ინვენტარი და სხვა საგნები დაშორებულ უნდა იქნეს ბანკომატიდან არანაკლებ ნახევარი მეტრით, რათა ხელი არ შეეშალოს ინაკსაციის პროცესს. თუ ამ პუნქტში აღწერილი ვალდებულებების დარღვევის გამო, შეფერხდა ბანკომატის ჩვეულებრივი ფუნქციონირება ან/და ბანკს წაერთვა ქირავნობის საგნით მიზნობრივი სარგებლობის სრულყოფილი შესაძლებლობა, ამ პერიოდის განმავლობაში ბანკი გათავისუფლდება ქირის გადახდის ვალდებულებისაგან;

4.1.5 იმ შემთხვევაში თუ მესამე პირს გადასცემს მფლობელობის უფლებას უფლებას ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტში აღწერილ შენობაზე, ფართობის გადაცემის აქტში (ხელშეკრულებაში) შეიტანოს საგარანტიო პუნქტი, რომელიც მოიცავს ამ ხელშეკრულების ყველა აუცილებელ პირობას, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში აქ მოცემული შეთანხმებები მთელი სისრულით იმოქმედებს ახალ მფლობელთან მიმართებაშიც ქვექირავნობის საგანზე, ასვე დაუყონებლივ მიაწოდოს ინფორმაცია დამქირავებელს ახალი მესაკუთრის ან/და მფლობელის შესახებ;

4.1.6 დაუყოვნებლი აცნობოს დამქირავებელს შემდეგ სატელეფონო ნომრებზე: 522 911 140 – ცხელი ხაზი და 599 38 77 44 – მალხაზ გორგაძე, ნებისმიერი ბანკომატთან დაკავშირებული საეჭვო და საგულისხმო ფაქტის შესახებ, რაც დაკავშირებული არ არის ბანკომატის პირდაპირი დანიშნულების გამოყენებასთან. საეჭვო და საგულისხმო ფაქტში იგულისხმება მათ შორის, მაგრამ არასრულად: ქურდობა ან ასეთის მცდელობა, ძარცვა ან ასეთის მცდელობა, ბანკომატის დაზიანება ან ასეთის მცდელობა, ბანკომატის განადგურება ან საეჭვო და საგულისხმო ფაქტის შესახებ ბანკომატთან გადამეტებული ძალის გამოყენება ან ასეთის მცდელობა, ბანკომატის ელექტრონული საშუალებით მიერთება ან ჩართვა და სხვა ან ასეთის მცდელობა, ბანკომატის მთლიანობის ნებისმიერი ფორმით დაზიანება ან შეცვლა ან ზემოქმედება ან ასეთის მცდელობა.

4.1.7 ქირავნობის საგნის გადაცემამდე, უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით დენის დამიწებული წყაროს მიყვანა ბანკომატამდე შესაბამისი სტანდარტის კაბელით და ხელშეკრულების საგნისათვის 24 საათიანი რეჟიმით ელ.ენერგიის მიწოდება; ბანკომატამდე დენის დამიწებული წყაროს მიყვანის ფაქტს და მის ვარგისიანობას სტანდარტების მიხედვით, დამატებით შეამოწმებს ბანკის ელექტრიკოსთა ჯგუფი ან/და ბანკის მიერვე შერჩეული სხვა გარე კომპანია. თუ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შესრულებული სამუშაო ხარვეზიანი, გამქირავებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ეს ხარვეზი;

4.1.8 გადაუდებელ შემთხვევებში (ღამის საათებში და არასამუშაო დღეებში) უზრუნველყოს დამქირავებლის დაშვება ხელშეკრულების საგანთან (ბანკომატთან); ამ შემთხვევაშიც იმოქმედებს ხელშეკრულების 4.1.4 პუნქტი;

გამქირავებელი

დამქირავებელი

4.1.9. გამქირავებელი ვალდებულია ქირავნობის საგნის გასხვისების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამქირავებელს აღნიშნული ფაქტის შესახებ, მიაწოდოს ახალი მესაკუთრის და ასევე მისი საბანკო ანაგრიშის რეკვიზიტები (კუმულატიური პირობა). აღნიშნული ინფორმაციის გამქირავებლისათვის მიწოდების ვალდებულება ვრცელდება გამქირავებლის უფლებამონაცვლეზეც. გამქირავებლის ან/და მისი უფლებამონაცვლის მიერ ამ პუნქტით გათვალისიწნებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, დამქირავებელი შეაჩერებს ქირის გადახდას, თუ მისთვის ცნობილი გახდება იჯარის საგნის გასხვისების ფაქტი, რაც არ ჩაითვლება მის მიერ ვალდებულების დარღვევად და ამ პერიოდის განმავლობაში დამქირავებელი მიიჩნევა ქირავნობის საგნის მართლზომიერ მფლობელად.

4.20. 4.1.9. პუნქტის გათვალისწინებით, თუ დამქირავებელი მოგვიანებით შეიტყობს ქირავნობის საგნის გასხვისების ფაქტს, რა დროსაც ქირა უკვე ჩარიცხული იქნება გამქირავებლისათვის (ძველი მესაკუთრისათვის), აღნიშნული გადახდა ჩაითვლება ჯეროვან შესრულებად, ხოლო შემდეგი გადახდებისათვის იმოქმედებს 4.1.9. პუქნტით დადგენილი დანაწესი.

4.21 მისი არ ყოფნის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულების 4.1.4 და 4.1.8. პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის, გამოყოს ბანკთან შესაბამისი საკონტაქტო პირი, რომელიც შეასრულებს გამქირავებლის სახელით ნაკისრ ვალდებილებებს და რომლის საკონტაქტო რეკვიზიტებიც უნდა ეცნობოს ბანკს დაუყოვნებლივ გამქირავებლის მიერ მისი არ ყოფნის შემთვევაში. თუ ამ პუნქტში აღწერილი ვალდებულებების დარღვევის გამო, შეფერხდა ბანკომატის ჩვეულებრივი ფუნქციონირება ან/და ბანკს წაერთვა ქირავნობის საგნით მიზნობრივი სარგებლობის სრულყოფილი შესაძლებლობა, ამ პერიოდის განმავლობაში ბანკი გათავისუფლდება ქირის გადახდის ვალდებულებისაგან.

4.2 დამქირავებელი ვალდებულია:

4.2.1 ქვექირავნობის საგანი შეინახოს ნორმალურ და გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს შენობის ნორმალური ცვეთა და დაუძლეველი ძალით ზიანის მიყენება.

4.3 დამქირავებელს უფლება აქვს:

4.3.1 საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი ხარჯებით შეაკეთოს და გაარემონტოს ქვექირავნობის საგანი.

4.3.2 გამქირავებელთან შეთანხმებით დაკიდოს და გამოაკრას აბრები (მათ შორის სარეკლამო ინფორმაციის შემცველი) ქვექირავნობის საგნის შიდა და გარე კედლებზე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 გამქირავებელს უფლება აქვს ვადამდე შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამ შემთხვევაში გამქირავებელი ვალდებულია დაუბრუნოს დამქირავებელს წინასწარ გადახდილი ქირა, აანაზღაუროს ბანკომატის გადაადგილებასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და აუნაზღაუროს დამქირავებელს ყველა ის დანახარჯი, რაც დამქირავებელმა გასწია ქირავნობის საგანზე.

5.2

6. სხვა პირობები

6.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეებს შორის წარმოშობილი უფლება-მოვალეობების სრულ ამოწურვამდე.

6.2 ამ ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია ამ ხელშეკრულების ფორმის დაცვით.

6.3 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე და წარმომადგენლობაზე.

6.4 ეს ხელშეკრულება წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

6.5 მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

6.6 ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

6.7 ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იუდირიული ძალის მქონე 3 იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისათვის.

გამქირავებელი

დამქირავებელი

ხელმოწერები

გამქირავებელი

დამქირავებელი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

892018447337

განცხადების რეგისტრაციის დრო
25 მაი 2018 11:19

გადახდის ნომერი: **NW 16117190**
განცხადების ნომერი: 16117190
განცხადების მიღების დრო: 25 მაი 2018 11:14

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (დაინტერესებული პირი: სს თიბისი ბანკი /204854595/) რომლითაც მოთხოვნილია ქვექირავნობის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე. უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 3 , - ის მიმდებარედ (ზონა:თბილისი, სექტორი: სამგორი)

განცხადებაში მოთხოვნილია საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადებას თან ახლავს შემდეგი დოკუმენტები:

1. ქვექირავნობის უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი
2. პ/მ ასლი
3. ლევან ილურიძის მინდობილობა იხ. 892018418262
4. ნათია მუმლაძის მინდობილობა იხ. 892018015287

მომსახურების ვადა: 4 დღე.
საფასური: 55 ლარი.

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო SMS–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ